უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი **21.08.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი, სხდომის მდივანი;
ირინე კვახაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სრული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ლაშა კანდელაკიშვილი - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
2. მაია ხურცილავა - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი;
4. ნატალია ბარათელი - შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. მარინა ჯავახიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
6. მანანა მოისწრაფიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
7. შალვა კელეპტრიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
8. ანზორ აბშილავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

9. მიხეილ შილაკაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
10. მამუკა მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
11. დიმიტრი ერისთავი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
12. ვიქტორ ნანობაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
13. გურამ ცხომელიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
14. თამარ ცონაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
15. ხათუნა მხეიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
16. ნინო ჩუბინიძე - სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
17. კენეტ დევერუ უოლში - სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი;
18. ზაქარია შველიძე - სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
დავით ჭეიშვილი;
თამარ გვიანიშვილი;
ქეთევან ცეცხლაძე;
ნინო ჩიქოვანი;
ზურაბ ჩხიკვაძე;
დავით კუპატაძე;
ციური დურული.

სხვა დამსწრე პირები:

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას'' დირექტორის მოადგილე; საბჭოს მოწვეული წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:20 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
7. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხის, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვის გადადების შესახებ საბჭოს მომდევნო სხდომაზე. შუამდგომლობის დაყენების საფუძველს წარმოადგენდა ექსპერტების არ ყოფნა საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა გადაიდო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 1^2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა მაია ჩიხლაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი.

1. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დავით ჭეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 19 ივნისის №384 ბრძანების საფუძველზე, 2015 წლის 24-25 ივნისს, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა, შეამოწმა ამავე ბრძანებით განსაზღვრული საერთაშორისო ურთიერთობების და ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, №125852 სამსახურებრივ ბარათში დასმული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საკითხი და ადამიანური რესურსის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა და წარმოადგინა დასკვნა. ექსპერტები გაეცნენ აკადემიური, მოწვეული პედაგოგების პირად საქმეებს და აკადემიური თანამდებობების კონკურსის პირობებს, ასევე, აკადემიურ კონკურსებთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას. შეისწავლეს №125852 სამსახურებრივ ბარათში დასმული სტუდენტების სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული მასალა, გაეცნენ სტუდენტთა პირად საქმეებს. ავტორიზაციის სტანდარტების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (ბაკალავრიატის პროგრამები: საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია), ექსპერტებმა განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამები, მოხდა გასაუბრება დაწესებულების აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, აღნიშნა შემდეგი გარემოებები:

- საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა – კურიკულუმში არსებობს განსხვავებული ინფორმაცია პროგრამის კომპონენტების კრედიტების შესახებ – „პროგრამის სტრუქტურის“ ნაწილში მითითებულია: „ზოგადი ბაკალავრიატის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები – 60 კრედიტი; პროგრამის თავისუფალი კრედიტები – 25 კრედიტი“; პროგრამის სასწავლო გეგმით კი – „ზოგადი ბაკალავრიატის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები – 40 კრედიტი; პროგრამის თავისუფალი კრედიტები – 45 კრედიტი“;ორივე საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში – არ არის უზრუნველყოფილი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი (ბაკალავრიატის საფეხური) გათვალისწინებული დონით კომპეტენცია „კომუნიკაციის უნარი“, კერძოდ – „ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე“, რადგან: „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამა – სასწავლო კურსი „სპეც. ინგლისური“ (5 კრედიტი) არის არა სავალდებულო, არამედ არჩევითი სასწავლო კურსი;

- „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა – პროგრამის სასწავლო გეგმით სპეც. ტერმინოლოგიის შემსწავლელი სასწავლო კურსი გათვალისწინებული არ არის;

- ორივე პროგრამის სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები „ინგლისური ენა-1 (B1.1.)", „ინგლისური ენა-2 (B1.2.)", „ინგლისური ენა-3 (B2.1.)", „ინგლისური ენა-4 (B2.2.)" არის ზოგადი ინგლისურის შემსწავლელი სასწავლო კურსები, რომლებიც მიზნებიდან, შედეგებიდან, შინაარსიდან და მითითებული ლიტერატურიდან გამომდინარე, არ არის მიმართული დარგობრივი ტერმინოლოგიის შესწავლაზე;

- ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, არარელევანტური და მიუღწევადია ორივე პროგრამის კურიკულუმში არსებული ჩანაწერი („სწავლა–სწავლების ფორმატი“), რომ სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაში, სხვა საქმიანობასთან ერთად, მოიაზრება „პროფესიული ტექსტების თარგმნის განხორციელება“;

- ორივე საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში („საბაკალავრო პროგრამის მოცულობა“) – არსებული ჩანაწერი „საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს ... სამეცნიერო–კვლევით პროექტებში მონაწილეობას, ... სამეცნიერო კვლევების შესრულებას და პრეზენტაცია/დაცვას“, არარელევანტური და მიუღწევადია;

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა – სწავლის შედეგებში (კომუნიკაცია უცხო ენაზე) მითითებულია „პროგრამის ფარგლებში ბაკალავრი ეუფლება ინგლისურ და ერთ–ერთ უცხო ენას – არჩევით“. თუმცა პროგრამის სასწავლო გეგმაში ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენები გათვალისწინებული არ არის (არ არის მითითებული მათი ჩამონათვალი, კრედიტები, შესწავლის სემესტრები და ა.შ.) და არ დგინდება მათი შესწავლის ვალდებულება. დაწესებულების განმარტებით, მეორე უცხო ენის (გერმანული, რუსული ან ესპანური) შესწავლა მოხდება პროგრამის არჩევითი კომპონენტის – „თავისუფალი კრედიტების“ ფარგლებში, რაც არარელევანტურია „თავისუფალი კრედიტების“ არჩევითი სტატუსის და შესაბამისი ჩანაწერის არარსებობის გამო (მითითებულია მხოლოდ „თავისუფალი კრედიტები – 45 კრედიტი“);

- რიგ შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო კურსის შესწავლა, რადგან გამოყენებულია მხოლოდ უცხოენოვანი (რუსულ, ინგლისური, გერმანული) სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა მიუხედავად იმისა, რომ რუსული და გერმანული ენის შესწავლა პროგრამით გათვალისწინებული არ არის, ხოლო ინგლისური ენის B2 დონის სასწავლო კურსები ისწავლება მე-3 (B2.1) და მე-4 (B2.2) სემესტრებში (მაგ., „ნეიროფსიქოლოგია A“ (III სემესტრი), „ნეიროფსიქოლოგია B“ (IV სემესტრი), „განვითარების ფსიქოლოგია“ (III სემესტრი), „კლინიკური ფსიქოლოგია“ (IV სემესტრი).

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ ორივე საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციით ჰქონდათ დამატებული და ეს პროგრამები შემოწმებული იყო ექსპერტების მიერ, ამ პროგრამიდან ერთ-ერთი აკრედიტებული იყო. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ამ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია ახალი მინიჭებული ჰქონდა. ხოლო რაც შეეხებოდა სტუდენტებს, მათ სწავლა საერთაშორისო ურთიერთობის აკრედიტებულ პროგრამაზე გააგრძელეს, ფსიქოლოგიის პროგრამამ კი ვერ მოიპოვა აკრედიტაცია.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო ორი ერთი და იმავე სახელწოდების საგანმანათლებლო პროგრამა ერთი ავტორიზებული და ერთი აკრედიტებული, იდენტური სახელწოდებითა და მისანიჭებელი კვალიფიკაციით. ექსპერეტებმა შეამოწმეს ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დაწესებულებამ ავტორიზაციის გზით დაიმატა, ამის შემდეგ იგივე სახელწოდების ახალი პროგრამა შემოიტანეს აკრედიტაციაზე და სწორედ იმ პროგრამამ მოიპოვა აკრედიტაცია. მონიტორინგის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა მოქალაქე თინანო თევზაძის და მოქალაქე აიგუნ მამედოვას განცხადება, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის 2014 წლის ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ გადასულიყვნენ სტუდენტების ჩარიცხვის საკითხის განხილვაზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ გვიანიშვილმა წარადგინა დასკვნიდან სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული ნაწილი. მან აღნიშნა შემდეგი გარემოებები:

- ვიზიტის დროს შემოწმებულ „საერთაშორისო ურთიერთობების“ და „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხება 32 სტუდენტი. საერთაშორისო

ურთიერთობების და ფსიქოლოგიის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზებულია 2014 წლის 25 სექტემბრიდან. პროგრამები ამოქმედდა ამავე წლის ოქტომბრის თვიდან. 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა (რექტორის №62 ბრძანება, 2014 წლის 29 სექტემბერი), ასევე დაწესებულების სხვა საგან-მანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა) შიდა მობილობით გააგრძელეს სწავლა ზემოთ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (2014 წლის 07 ოქტომბრის ბრძანება №69, 2014 წლის 16 ოქტომბრის №74 ბრძანება (ცვლილება №69 ბრძანებაში). სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხულ სტუდენტებს (2014 წლის 29 სექტემბერი), ხელშეკრულებები გაუფორმდათ მათ მიერ შიდა მობილობის განხორციელების შემდეგ (16 ოქტომბერი, 2014 წელი).

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სტუდენტებმა შიდა მობილობით ისარგებლეს, რადგანაც არ იყო შეზღუდვა ამასთან დაკავშირებით და ამიტომაც გადმოვიდნენ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა დასკვნიდან ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა დაწესებულებაში უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვას. მან აღნიშნა, შემდეგი გარემობები:

- შპს „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში" ვიზიტისას მოთხოვნილი იყო იმ 08 (რვა) სტუდენტის პირადი საქმე, რომელთა სტატუსის მოპოვების საკითხიც იყო დასმული №125852 სამსახურეობრივ ბარათში. სამსახურეობრივი ბარათის შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მიაწოდა სტუდენტთა მონაცემები შემდეგი სახით:

1. ჰაჯიზადე ბაირამ (სტომატოლოგია);
2. შირინოვ ჯეჰუნ (სტომატოლოგია);ემიროვ თურალ (ფარმაცია);
3. თეუბოვა თურანე (ფარმაცია);
4. მამმედოვ უმუდ (სტომატოლოგია);
5. ჰუსეინზადე მურად (სტომატოლოგია);
6. გურბანოვ მაჰმად (სტომატოლოგია);
7. მამადოვა შაბნამ (ფარმაცია).

- დაწესებულებამ წარმოადგინა შვიდი პირადი საქმე, შირინოვ ჯეჰუნის პირადი საქმე არ მოიძებნა ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში და მათი განცხადებით ასეთი სტუდენტი სასწავლებელში არ ირიცხება. წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია 7 სტუდენტზე, თუმცა მოთხოვნილ ინფორმაციასა და მოწოდებული სტუდენტების სახელებსა და გვარებს შორის არის მცირედი სხვაობები. კერძოდ დაწესებულამ მოგვაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია შემდეგი სახით:

- ჰაჯიზადა ბაირამ პ/ნ 00006519521 - განცხადება შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე 2014 წლის 30 იანვარს. სტუდენტის სახელზე არის გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი №150488, 17.03.2014. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 21 მარტის №267 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლება და 2014 წლის 28 მარტს №31 ბრძანების საფუძველზე, ჩარიცხულია ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის I კურსზე.

- 2014 წლის 7 ოქტომბრის რექტორის №69 ბრძანების საფუძველზე, ჰაჯიზადა ბაირამ ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან შიდა მობილობის წესით გადაყვანილ იქნა დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე. რექტორის 2014 წლის 30 დეკემბრის №92 ბრძანების საფუძველზე ჰაჯიზადა ბაირამს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. რექტორის 2015 წლის 4 იანვრის №ს-1 ბრძანებით, ჰაჯიზადა ბაირამს აღუდგა სტუდენტის სტატუსი. ამჟამად სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით ჰაჯიზადა ბაირამ ფიქსირდება როგორც „აქტიური" სტუდენტი.

- თურალ ამიროვი პ/ნ 00008649533 - განცხადება შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში

ჩარიცხვის თაობაზე 2013 წლის 18 დეკემბერს. სტუდენტის სახელზე არის გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი №10299, 15.01.2014. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 იანვრის №23 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლება და რექტორის 2014 წლის 7 მარტის №25 ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის I კურსზე. სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 13 აგვისტოს №497 ბრძანების საფუძველზე თურალ ამიროვს უღიარდა თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში ლიცენზირებულ რეჟიმში მოპოვებული 240 კრედიტიდან 206 კრედიტი. რექტორის 2014 წლის 30 დეკემბრის №92 ბრძანების საფუძველზე თურალ ამიროვს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. რექტორის 2015 წლის 4 იანვრის №ს-1 ბრძანების საფუძველზე თურალ ამიროვს აღუდგა სტუდენტის სტატუსი. 2015 წლის 25 თებერვლის რექტორის №ს-5 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა კვალიფიკაცია. ამჟამად სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით თურალ ამიროვი ფიქსირდება „კურსდამთავრებულის" სტატუსით.

- თეიუბოვა თურანა პ/ნ 00007184282 - განცხადება შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე 2013 წლის 10 დეკემბერს. სტუდენტის სახელზე არის გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი №16370, 17.01.2014. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 იანვრის №42 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლება და რექტორის 2014 წლის 7 მარტის №25 ბრძანებით ჩაირიცხა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის I კურსზე. რექტორის 2014 წლის 30 დეკემბრის N 92 ბრძანების საფუძველზე თეიუბოვა თურანას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. რექტორის 2015 წლის 01 ივნისის N ს-29 ბრძანების საფუძველზე თეიუბოვა თურანას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. ამჟამად სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით თეიუბოვა თურანა ფიქსირდება როგორც „სტატუს შეჩერებული" სტუდენტი.

- მამმადოვ უმიდ პ/ნ 000041244046 განცხადება შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე 2014 წლის 13 მაისს. სტუდენტის სახელზე არის გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი №309223, 22.05.2014. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 მაისის №512 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლება და რექტორის 2014 წლის 23 ივნისის №39 ბრძანებით მამმადოვ უმიდ ჩაირიცხა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის I კურსზე. რექტორის 2014 წლის 30 დეკემბრის №92 ბრძანების საფუძველზე მამმადოვ უმიდს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. ამჟამად სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით მამმადოვ უმიდ ფიქსირდება როგორც „სტატუს შეჩერებული" სტუდენტი.

- ჰუსეინზადა მურად პ/ნ 00003722595 განცხადება შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე 2014 წლის 8 მაისს. სტუდენტის სახელზე არის გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი №322470, 27.05.2014. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 11 ივნისის №550 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლება და რექტორის 2014 წლის 23 ივნისის №39 ბრძანებით ჰუსეინზადა მურად ჩაირიცხა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის I კურსზე. რეესტრის მონაცემებით ჰუსეინზადა მურად რექტორის 2014 წლის 7 ოქტომბრის №69 ბრძანების საფუძველზე ფარმაციის პროგრამიდან შიდა მობილობით გადავიდა სტომატოლოგიაზე. ამჟამად სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით ჰუსეინზადა მურად ფიქსირდება როგორც „აქტიური" სტატუსის მქონე სტუდენტი.

- გურბანოვ მაჰამმად - პ/ნ 00006740114 განცხადება შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე 2014 წლის 13 თებერვალს. სტუდენტის სახელზე არის გაცემული უცხოეთში

მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი №165551, 24.03.2014. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 8 აპრილის №399 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლება და რექტორის 2014 წლის 23 ივნისის №39 ბრძანებით გურბანოვ მაჰამმად ჩაირიცხა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის I კურსზე. რექტორის 2014 წლის 7 ოქტომბრის №69 ბრძანებით გურბანობ მაჰამმად შიდა მობილობის წესით ფარმაციის საბაკალავრო პრგრამიდან გადაყვანილ იქნა დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2014 წლის 19 ნოემბრის №755 ბრძანების საფუძველზე მაჰამმად გურბანოვს თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული 235 კრედიტიდან უღიარდა 228 კრედიტი. რექტორის 2014 წლის 30 დეკემბრის №92 ბრძანების საფუძველზე გურბანოვ მაჰამმადს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. ამჟამად სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით გურბანოვ მაჰამმად ფიქსირდება „აქტიური" სტუდენტის სტატუსით, რექტორის 2015 წლის 4 იანვრის №ს-1 ბრძანებით აღდგენილი აქვს სტუდენტის სტატუსი.

- მამმადოვა შაბნამ - პ/ნ 00005106220 განცხადება შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე 2014 წლის 16 იანვარს. სტუდენტის სახელზე არის გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი №67451, 11.02.2014. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 19 თებერვლის №193 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლება და რექტორის 2014 წლის 7 მარტის №25 ბრძანებით ჩაირიცხა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის I კურსზე. რექტორის 2014 წლის 30 დეკემბრის №92 ბრძანების საფუძველზე მამმადოვა შაბნამს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. ამჟამად სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით მამმადოვა შაბნამს უფიქსირდება „შეჩერებული" სტუდენტის სტატუსი.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება:

- ჰაჯიზადა ბაირამს ხელშეკრულება გაუფორმდა მხოლოდ სტატუსის აღდგენის შემდეგ 2015 წლის 5 იანვარს. 2014 წლის 28 მარტიდან ვიდრე 2015 წლის 5 იანვრამდე მასთან ხელშეკრულება არ იქნა დადებული;
- წარმოდგენილი 7 სტუდენტის პირადი საქმიდან და რეესტრის მონაცემებიდან ირკვევა, რომ სამ მათგანს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, სამს აქტიური, ხოლო ერთი კურსდამთავრებულია;
- აღნიშნული სტუდენტებისათვის სტატუსის მოპოვების საკითხი შესაბამისობაშია კანონდებლობასთან;
- სტუდენტთა დოკუმენტაციის გადამოწმებისას, ასევე დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში სწავლობენ ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე უცხოელი სტუდენტები (მათ შორის ზემოთ აღნიშნული სტუდენტები). დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტუდენტების მიერ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფლობის დონის შემოწმების მექანიზმი.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა სტუდენტთა ადგილების რაოდენობითა და მათი წარმომავლობის საკითხით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სულ ჰყავდათ 100 სტუდენტი, რომლებიც ძირითადად აზერბაიჯანელები იყვნენ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან ცეცხლაძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დასკვნაში წარმოდგენილი 8 სტუდენტის იდენტიფიცირების პრობლემა დადგა. ზემოთ აღნიშნული სახელებით და გვარებით არ ფიქსირდებოდა სტუდენტები დაწესებულებაში. ამრიგად, დაწესებულებამ მიაწოდა მათ 7 პირადი საქმე, მერვე სტუდენტზე კი საერთოდ ვერ მოიძებნა ინფორმაცია. საჩივრის თანახმად,

დასახელებული სტუდენტები ფორმალურად სწავლობდნენ დაწესებულებაში და არა რეალურად. 7 სტუდენტიდან 3-ს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა ეს ყველაფერი დადასტურებული იყო თუ არა ცენტრის რეესტრის სამსახურის მიერ. ექსპერტებმა დაუდასტურეს, რომ ცენტრის რეესტრის სამსახურის მიერ იყო შემოწმებული ეს ინფორმაცია.

ექსპერტმა, ქეთევან ცეცხლაძემ აღნიშნა, რომ საჩივრის თანახმად მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სტუდენტები ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლობდნენ, მაგრამ სხვა პროგრამაზე იყვნენ გადასულები, კერძოდ კი ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე. ექსპერტების ვარაუდით, ამ სტუდენტებმა შიდა მობილობით ისარგებლეს ან შესაძლოა ესენი სულაც არ იყვნენ ის სტუდენტები, რომლებიც საჩივარში იყვნენ დასახელებულნი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა დონეზე ფლობდნენ აზერბაიჯანელი სტუდენტები ქართულ ენას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტებმა იცოდნენ სალაპარაკო ქართული ენა, რადგანაც ისინი ძირითადად ინგილოები იყვნენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული რეგულაცია, რომელიც შეამოწმებდა ენის ცოდნის დონეს, რაზეც დაწესებულებამ უპასუხა, რომ არანაირი რეგულაცია არ ჰქონდათ აღნიშნულის თაობაზე. ასევე აღნიშნა, რომ ამ სტუდენტების ძირითადი ნაწილი მანამდე სხვა ლიცენზირებულ დაწესებულებაში სწავლობდა ოთხი წელი ქართულად. შესაბამისად, ეჭვგარეშე იყო მათი ქართული ენის სასაუბრო დონეზე ცოდნა.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:00 საათზე.

სხდომა განახლდა 16:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის (ს/კ: 201954956) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების ინტერესებით. მისი თქმით, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რიგი შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის და ბევრი შეკითხვები იბადებოდა დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ რეკომენდაციის სახით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, იმის თაობაზე, რომ მომავალ წელს, როდესაც დაწესებულებას მოუწევდა ავტორიზაციის პროცედურის გავლა, ექსპერტთა ჯგუფს განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინა იმ გარემოებებზე, რომლებიც მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო დაფიქსირებული.

2. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ ნინო ჩიქოვანმა. მისი თქმით, დაწესებულებას სურს დაიმატოს ორი ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: 1. ფარმაცია (ინგლისურენოვანი); 2. ჯანდაცვის მენეჯმენტი. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო დადებითი და დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი რესურსები აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

ნინო ჩიქოვანის თქმით, „ფარმაციის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გადამოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი გარემოებები:

- წარმოდგენილი „ფარმაციის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირებულია ვიზიტის განხორციელებამდე და შესაბამისად დამტკიცებულია რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, ცვლილება ეხება ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პუნქტს. კერძოდ, დაზუსტებულია ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მსურველი აპლიკანტებისათვის ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურების შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია ეროვნული გამოცდებითა და ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე დასაშვებ აპლიკანტთა შესახებ „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის", მუხლი 52-ის შესაბამისად;
- „ფარმაციის" (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უცხოენოვანი სტუდენტებისათვის ზოგადად მიზანშეწონილია ისწავლებოდეს ქართული ენის საფუძვლები, ქართულენოვან გარემოში ადაპტაციის მიზნით. პროგრამა არ მოიაზრებს შესაბამის კურსს, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის ბრძანება #9-ო; 18.06.2015, „ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის საქართველოსთან ინტეგრაციის ხელშეწყობის შესახებ", რომელიც მოიცავს ქართული ენის კურსის გავლის მექანიზმს კურიკულუმს გარეთ აქტივობის ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გადამოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი გარემოება:

- აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ სავალდებულო საგნად ისწავლება ინგლისური ენა გადანაწილებული ოთხ სემესტრზე, თუმცა ოდნავ ბუნდოვანია, თუ როგორ ხდება ინგლისურ ენა 1-ზე ხალხის შერჩევა, რა არის კურზე დაშვების წინაპირობა, ან რა დონეებს მოიცავს ინგლისური ენა 1 (A1.1 ან A1.2 და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ პირველი ორი სემესტრი გულისხმობს პრაქტიკული ინგლისურის სწავლებას და იწყება Elementary დონით, რომელიც ევროპული შეფასებით შეესაბამება A1-1 დონეს, ხოლო მესამე და მეოთხე სემესტრებში ენის სწავლება სპეციფიური მიმართულებით წარმოებს და მოიცავს მენეჯმენტსა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. სილაბუსის სრულყოფისთვის უმჯობესი იქნებოდა მომხდარიყო მეტად დეტალური აღწერა, თუ რა შემთხვევაში გაივლიდა

სტუდენტი კურსს და ამა, თუ იმ დონეს. საამისოდ დაწესებულებამ წარმოადგინა ინგლისური ენის სწავლების სხვა დონის სილაბუსები და აგრეთვე რექტორის ბრძანება №6, 17 ივნისი, 2015 წელი, რომელიც განმარტავს, რომ პირველ სემესტრელთათვის აკადემიური რეგისტრაციის დროს ინგლისურ ენაში ცოდნის დონის განსაზღვრისა და შესაბამის ჯგუფში დარეგისტრირებისთვის ტარდება ტესტირება, საამისოდ კი შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც ამ ტესტებს შეადგენს და შემდგომ შეამოწმებს.

საბჭოს თავმჯდომარმ, ირინა ხანთაძემ საკუთარი მოსზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი მუშაობისა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნისათვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა სასარგებლო რეკომენდაციები. დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან მიმართებით განმარტა შემდეგი:

- ფარმაციის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული გვქონდა: „ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაა“. დაზუსტდა ეროვნული გამოცდებითა და ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე მისაღებ აპლიკანტთათვის წინა პირობები. კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ 52-ე მუხლის შესაბამისად: პუნქტი 1. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შემდეგ დამატებით უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის (B2) დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან გაიარონ სასწავლებლის მიერ დადგენილი გასაუბრება/ტესტირება. ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე სწავლის მსურველები პროგრამაზე ჩაირიცხებიან „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ 52-ე მუხლის პუნქტი 3-ს შესაბამისად: აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- დაწესებულებას უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის, საქართველოსთან ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული გვაქვს ქართული ენის შესწავლის მექანიზმი კურიკულუმს გარეთ აქტივობის ფარგლებში. დავაზუსტებთ, რომ რექტორის ბრძანებით ქართული ენის სწავლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის უფასოა;

- ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის კურიკულუმში სავალდებულო 20 კრედიტი ეთმობა ინგლისური ენის შესწავლას. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ მათ წარვუდგინეთ სხვადასხვა დონის სილაბუსები. მათ ვინც ინგლისური ენა ჩააბარა ერთიან ეროვნულ გამოცდაზე, საშუალო განათლების ატესტატით უდასტურდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინგლისური ენა

ცოდნა, აბიტურიენტი სხვაგვარად ატესტატს ვერ აიღებდა, ვერც ეროვნულ გამოცდაზე გავიდოდა და ვერც სტუდენტის სტატუსი მიენიჭებოდა. ხოლო ის სტუდენტები, ვისაც ეროვნულ გამოცდებზე სხვა უცხო ენა აქვთ ჩაბარებული (რუსული, გერმანული, ფრანგული) იწყებენ ელემენტარული დონით, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს, აგრძელებენ სწავლას ინგლისური 1 და ინგლისური 2 (10 კრედიტი). თავისუფალი კრედიტების 20 კრედიტიდან 10 კრედიტს უთმობენ ინგლისური 3 და ინგლისური 4 შესწავლას. ამგვარად, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინგლისური ენის სწავლის შედეგის მიღწევა მენეჯმენტისა და მართვის სპეციფიკის გათვალისწინებით სირთულეს არ წარმოადგენს. აკადემიური რეგისტრაციის დროს ინგლისური ენის ცოდნის დონეს განსაზღვრავს რექტორის მიერ შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია. ამგვარად, სტუდენტი პირველ სემესტრში იწყებს თავისის ცოდნის შესაბამისი ინგლისური ენის სასწავლო კურსის შესწავლას.

ირინა ხანთაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტისა და დაწესებულების წარმომადგენლის მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისათვის ფარმაციის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისათვის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204379083) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განხორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	ფარმაცია (ინგლისურენოვანი)	ფარმაციის ბაკალავრი
ბაკალავრიატი	ჯანდაცვის მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ჯანდაცვის მენეჯმენტში

3. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხლვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, ზურაბ ჩხიკვაძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დავით კუპატაძემ.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება ახორციელებდა 5 საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების 60 - კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამას აზერბაიჯანულენოვანთათვის. დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას წარმოადგენდა 400 სტუდენტი და სურდა 400 სტუდენტით ქვოტის გაზრდა. ვიზიტის განხორციელების დროს ირიცხებოდა 231 სტუდენტი. დაწესებულებას ჰყავდა შემდეგი რაოდენობის აკადემიური პერსონალი: 11 პროფესორი; 18 ასოცირებული პროფესორი; 10 ასისტენტ-პროფესორი; 3 ასისტენტი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულება ფლობდა შენობას მისამართზე: ქ.თბილისი, ქსნის ქ. №35, საერთო ფართით 1396 კვ.მ. აღნიშნული ფართიდან სასწავლო ფართი იყო 1132, 76, ხოლო დამხმარე - 263,67. მოთხოვნილი სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდისათვის დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204379083) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ გვიანიშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ორივე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, დაფიქსირებულ იქნა შემდეგი გარემოებები:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – პროგრამა უნდა განხორციელდეს რუსულ ენაზე, თუმცა არ არის განსაზღვრული რუსული ენის ცოდნის აუცილებლობა და ფლობის დონე. კურიკულუმის თანახად სამაგისტრო პროგრამაზე „სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს“, რომელიც ჩააბარებს „სტუ–ს მიერ განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს“, სტუ–ში მოქმედი მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულების თანახმად: „6.16. სტუ თავად ადგენს მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შინაარს....“ – ორივე შემთხვევაში არ არის მითითებული, რომ ერთ–ერთი გამოცდა ჩატარდება სამაგისტრო პროგრამის შესაბამის სპეციალობაში როგორც ამას ადგენს მოქმედი კანონმდებლობა („უსდ ვალდებულია კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დააწესოს გამოცდა შესაბამის სპეციალობაში“);სასწავლო კურსები „ბიზნესკომუნიკაცია ინგლისური/გერმანული/ფრანგული“ (I სემესტრი) და „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა ინგლისური/გერმანული/ფრანგული“ (II სემესტრი);
- ყველა სტუდენტისთვის არ არის უზრუნველყოფილი ამ სასწავლო კურსების შესწავლის და კრედიტის მიღების შესაძლებლობა, რადგან შინაარსიდან გამომდინარე მათი შესწავლა საჭიროებს გარკვეულ დონეზე შესაბამისი უცხო ენის ფლობას, რაც არ არის ასახული არც პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში და არც შესაბამის სილაბუსებში (მითითბულია „დაშვების წინაპირობები – არ გააჩნია“);
- სასწავლო კურსებს აქვთ არა პროგრამის დარგთან დაკავშირებული, არამედ ორივე პროგრამის შემთხვევაში იდენტური შინაარსი (მიზანი, შედეგები, თემატიკა, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა);
- ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილ სილაბუსებში არსებობს შეუსაბამო ჩანაწერები, მაგ.: „ბიზნესკომუნიკაცია“ (ფრანგული) – სწავლის შედეგი: „გერმანულ ენაზე საქმიანი დოკუმენტაციის წარმოების ძირითადი თავისებურებებისა და სპეციფიკის ცოდნა“ „Бизнес коммуникация (французский язык)“ – სწავლის შედეგი: „Знает основные особенности и специфику ведения деловой документации на немецком языке“. „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) – მიზანი: „სტუდენტისათვის ენათშორისი (გერმანულ-ქართული) ადეკვატური წერილობითი თარგმანის სწავლება“; Теория и практика перевода отраслевых текстов (французский язык) – მიზანი: „обучение студентов адекватному письменному и целевому переводу (грузинский – русский языки)“ „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)“ – მიზანი: „სტუდენტისათვის ენათშორისი (გერმანულ-ქართული) ადეკვატური წერილობითი თარგმანის სწავლება“; „Теория и практика перевода отраслевых

текстов (немецкий язык)“ – მიზანი: „обучение студентов адекватному письменному и целевому переводу (грузинский - русский языки)“; „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)“ – სწავლის შედეგი: „წერითი და ზეპირი ენობრივი (ინგლისურ-ქართული) კომუნიკაცია“; „Теория и практика перевода отраслевых текстов (английский язык)“ – სწავლის შედეგი: „письменная межязыковая (англо-русская) коммуникация“; „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)“ – მიზანი „სტუდენტისათვის ენათშორისი (ინგლისურ-ქართული) ადეკვატური წერილობითი თარგმანის სწავლება“; „Теория и практика перевода отраслевых текстов (английский язык)“ – მიზანი: „обучение студентов адекватному письменному и целевому переводу“;

- კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი – 5 კრედიტი; თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი – 10 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა – 30 კრედიტი). არ არის მითითებული რა შედეგს (დარგობრივ და/ან ზოგად კომპეტენციებს) უნდა მიაღწიოს სტუდენტმა, რათა კვლევითი კომპონენტი (მისი შემადგენელი ნაწილები) ჩაეთვალოს დაძლეულად და შესაბამისი კრედიტები მიღებულად – მოქმედი კანონმდებლობის თანახმად: „საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით“; „კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად“ და „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ“; სტუდენტის შეფასების წესები, ფორმები და კრიტერიუმები აღწერილია დოკუმენტში „მაგისტრანტის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“, რომელიც, რიგ შემთხვევაში, მოიცავს არარელევანტურ ჩანაწერს, რადგან შეფასების ყველა კომპონენტში 0 და 1 ქულისთვის მითითებულია ერთი და იგივე კრიტერიუმი, მაგ., „0–1 ქულა – საკვლევი თემის ირგვლივ შერჩეული ლიტერატურა არ შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს“, „0–1 ქულა – კვლევის მეთოდები არ შეესაბამება კონკრეტული შედეგების მიღებას“, „0–1 ქულა – მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის საფუძელზე დასკვნები არაადეკვატურია“, „0–1 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო თემის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის“ და ა.შ. გარდა ამისა, შეფასების იმავე კომპონენტებში 1 ქულა, ასევე, შეიძლება დაიწეროს თუ, მაგ., „საკვლევი თემის ირგვლივ შერჩეული ლიტერატურა არის შემთხვევითი“, „კვლევის მეთოდები არის შერჩეული არაკვალიფიციურად“, „მოცემულ ეტაპზე ჩატარებული დასკვნები ხარვეზით არის წარმოდგენილი“, „მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული, ვერ ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს“ და ა.შ.

ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა შემდეგი გარემოებები:

- პროგრამის სწავლის მიზნები და შედეგები: მიზანი - „საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საქმიანობის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების... შესწავლის შესაძლებლობას“, სწავლის შედეგი: „იცის: პროფესიული საქმიანობის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები, დადგენილებები, ნორმატიული აქტები“. თუმცა, არც ერთი სასწავლო კურსი არ ითვალისწინებს ამ საკითხებს. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით უნდა იყოს მიღწეული არა ამ სტანდარტების ... ცოდნა, არამედ „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი“ კომპეტენცია. პროგრამის სწავლის შედეგები (კომუნიკაციის უნარი) – მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია კომუნიკაცია „მშობლიურ ენაზე“/„на родном языке“, რაც არარელევანტურია იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომლებიც სწავლობენ რუსულენოვან პროგრამაზე, მაგრამ მათთვის რუსული ენა არ არის მშობლიური.
- სავალდებულო ლიტერატურა: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის „კომპიუტერული ტექნოლოგიები 2“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ მოძველებული სახელმძღვანელოები: Компьютеры: Справ.руководство: В 3 т./[Хеллерман Г. И др.]; Под ред. Г.Хелмса; Пер. с англ. под ред. И.О.Автомяна.- М.: Мир, 1986 - 22 см. 86.998.1.3. Библиотека ГТУ, 681.3

(083) 4; Компьютеры на СБИС: В 2 кн./Т. Мотоока, С. Томита,Х. Танака и др.; Перев. с яп. Г.Н. Горбунова; Под ред. В.М. Кисельникова – М.: Мир, 1988 - 21 см.: 621.382.049.771. Библиотека ГТУ, 681.3 50; Компьютеры, модели, вычислительный эксперимент. Введение в информатику с позиций математического моделирования. - М.; Наука, 1988 - 111с. Ил. (АН СССР. Серия «Кибернетика- неограниченные возможности и возможные ограничения". Библиогр. С. 169-170 35 к. Библиотека ГТУ, 519.6 27;

- სასწავლო კურსები „ტელეტრაფიკის თეორიის მათემატიკური მეთოდები 1" (I სემესტრი) და „ტელეტრაფიკის თეორიის მათემატიკური მეთოდები 2" (II სემესტრი) – ყველა სტუდენტისთვის ვერ იქნება უზრუნველყოფილი ორივე სავალდებულო სახელმძღვანელოს გამოყენების შესაძლებლობა, რადგან მითითებულიდან ერთ–ერთი არის ინგლისურენოვანი (L. Kleinrock, R. Gail. Queueing Systems. Problems and Solutions. 1996. p. 215. 519. 815/1 (K-1892), ინგლისური ენის ცოდნის აუცილებლობა კი არ არის განსაზღვრული არც სამაგისტრო პროგრამაზე და არც სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობებში.

ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა შემდეგი გარემოებები:

- განსხვავდება რუსულ და ქართულ ენებზე მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „Магистр энергетики и электроинженерии по выбранной специализации" და „ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის მაგისტრი არჩეული სამაგისტრო თემატიკის შესაბამისი სპეციალიზაციით;
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ მოძველებული სახელმძღვანელოები, მაგ.: სასწავლო კურსი „ენერგეტიკული დანადგარების თერმოდინამიკური ანალიზი": Гохштейн Д.П. Современные методы термодинамического анализ энергетических установок. Изд. Энергия, Москва. 1969. (621.1) 02; Бродянский В.М. Термодинамический анализ низкотемпературных процессов. Изд. МЭИ, Москва. 1966. (621.103) 52; სასწავლო კურსი „ძალური სამრეწველო ელექტრონული მოწყობილობები": В.С.Руденко, В.И. Сенько, И.М. Чиженко. Основы преобразовательной техники. –М.: 1980. 621.314(02)/11; Ю.С. Забродин. Промышленная электроника. –М.: 1982. 621.38(02)/55; Силовая электроника: Примеры и расчёты /Ф.Чаки, И.Герман, И.Ипшич и др. Пер. с англ./. -М.: Энергоатомиздат, 1982. - 384с. , 621.314(026)/3.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა, თუ ვინ იყვნენ რუსულენოვანი პროგრამის სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ პროგრამის სტუდენტები იყვნენ მაგალითად, ,,თელასისა" და ,,ენერგო პროჯორჯიას" მოქმედი თანამშრომლები, რომლებსაც სურდათ დარგში ცოდნის გაუმჯობესება და უპირატესობას ანიჭებდნენ რუსულ ენაზე სწავლას. ასევე, აზერბაიჯანელი სტუდენტები, რომლებიც ფლობდნენ ქართულ ენასაც.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ თარგმანის შეუსაბამობასთან დაკავშირებით იყო შენიშვნა, ასევე, მოძველებულ ლიტერატურაზე, რაც დაწესებულების მიერ გათვალისწინებული და გამოსწორებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (რუსულენოვანი) დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (რუსულენოვანი) დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ტექნიკურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
მაგისტრატურა	ტელეკომუნიკაცია (რუსულენოვანი)	ინჟინერიის მაგისტრი ტელეკომუნიკაციაში
მაგისტრატურა	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია (რუსულენოვანი)	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მაგისტრი არჩეული სამაგისტრო თემატიკის შესაბამისი სპეციალიზაციით: 1. ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის მაგისტრი თბოენერგეტიკის სპეციალიზაციით; 2. ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის მაგისტრი ჰიდროენერგეტიკის სპეციალიზაციით; 3. ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის მაგისტრი ელექტროენერგეტიკის სპეციალიზაციით; 4. ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის მაგისტრი ელექტროტექნიკისა და

		სამრეწველო ელექტრონი- კის სპეციალიზაციით; 5. ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის მაგისტრი ელექტრომექანიკის სპეციალიზაციით.

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე და აღნიშნა, რომ ის მიიღებდა მონაწილეობას დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხების განხილვაში, სათათბირო ხმის უფლებით.

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ციური დურულმა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი გარემოებები:

- **ნავთობისა და გაზის გადამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით:**

- პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულია კურსდამთავრებულისათვის „ნავთობისა და გაზის გადამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის (სპეციალისტ–მეაპარატეს) პროფესიული კვალიფიკაციის“ მინიჭება, პროგრამაში კი მითითითებულია „ნავთობისა და გაზის გადამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“;
- პროგრამა ითვალისწინებს 2 დარგობრივ სასწავლო კურსს: „ნავთობგადამუშავების ტექნოლოგიის ზოგადი პრინციპები” (ამ სასწავლო კურსში ინტეგრირებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკები) და „ნავთობის ქიმიის საკითხები” (ამ სასწავლო კურსში ინტეგრირებულია სასწავლო პრაქტიკა). ორივე სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტეატურად მითითებულია ერთი და იგივე სახელმძღვანელო: „თ.შაქარაშვილი, მ.ანდღულაძე. ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიური საფუძვლები. 1 ნაწილი. სტუ. თბ., 2005, გვ.83. სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი 665.6/5.

- **ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით:**

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ ვერსიაში კრედიტების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: პრაქტიკული კომპონენტი - 50 კრედიტი, თეორიული კომპონენტი - 70 კრედიტი, ხოლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ დამტკიცებულ ბეჭდურ ვერსიაში თეორიულ სწავლებას ეთმობა - 68 კრედიტი, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტს - 52 კრედიტი;
- ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი ბეჭდური ხელმოწერილი ვერსია. წარმოდგენილ პროგრამაში საგნებისთვის მინიჭებული კრედიტების ჯამი არის 123, ნაცვლად პროგრამაში მითითებული 120-სა. როგორც საათობრივი განაწილების ცხრილიდან ირკვევა ინფორმაცია საგნის „წამლის საქარხნო ტექნოლოგიის საფუძვლები“ შესახებ დუბლირებულია (მეორდება);
- პროგრამით გათვალისწინებულია ორი 20 ქულიანი და ერთი 30 ქულიანი შუალედური

გამოცდა. ასევე, თეორიული სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების ფორმებად მოცემულია - შუალედური გამოცდა -20; 20; 30 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა, თუმცა სამივე შუალედური გამოცდის განმარტებაში მაქსიმალურ ქულად მითითებულია „20" ქულა;

- პრაქტიკის სილაბუსებში მითითებულია, რომ შეფასება 100–ქულიანია, თუმცა ქულების განაწილებაში მოცემულია პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები (მაქსიმალური შეფასებით 5 ქულა) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია (მაქსიმალური - 30 ქულა); 5) პროგრამაში არ არის მითითება დანართების არსებობის შესახებ, თუმცა იყო წარმოდგენილი დანართები #2, 3, 4, 5, 6 – სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიური, რომლითაც ირკვევა რომ პრაქტიკის შეფასება ხდება 3 შუალე-დური ტესტირებით (ორი 20–ქულიანი და ერთი 30 ქულიანი) და პრაქტიკული ანგარიშით/პრეზენტაციით, რომელიც 30 ქულით ფასდება.

- **ნივთიერებების და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით:**

- „ორგანული ქიმია P3" - სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლექციებისა და ლაბორატორიული სამუშაოების საათების რაოდენობა არ ემთხვევა პროგრამაში ამავე სასწავლო კურსისთვის მითითებულ საათების რაოდენობას (პროგრამაში მითითებულია 15-15 საათი, სილაბუსში – 30-30 საათი);

- ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებულია ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

- **ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით:**

- ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის სტანდარტის მიხედვით მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება „ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მესამე საფეხურის (ექსპერტის თანაშემწე) პროფესიული კვალიფიკაცია", დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებულია „ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია".

- **გარემოს დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით:**

- სტანდარტის მიხედვით კურსდამთავრებულს ენიჭება „გარემოს დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის (თანაშემწე) პროფესიული კვალიფიკაცია", ხოლო პროგრამაში მითითებულია ჩანაწერი - „მესამე საფეხურის გარემოს დაცვის ტექნიკოსი".

- **ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის და ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით:**

- თანდართულ სილაბუსებში საწარმოო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმებით შეუძლებელია პრაქტიკული უნარების შემოწმება.

- **ავტომობილის დიაგნოსიკოსის (მეორე საფეხური), ავტომობილის ზეინკლის (მესამე საფეხური) და ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის (მესამე საფეხური) პროფესიულ პროგრამებთან მიმართებით:**

- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის დღიურები უნდა იყოს დანართი #2 და დანართი #3, წარმოდგენილი ნაბეჭდი დოკუმენტების მიხედვით კი სასწავლო პრაქტიკის დღიური არის დანართი #1, საწარმოო პრაქტიკის დღიური კი - დანართი #2.

- **დურგლის (მესამე საფეხური) პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით:**

- სასწავლო კურსში „შრომის უსაფრთხოება" შეფასების სისტემაში არ არის მითითბული დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

- **პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის (მესამე საფეხური) პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით:**

- სილაბუსში „ბეჭდვის შემდგომი პროცესების მოწყობილობები“ - კრედიტების მოცულობა არის 5, ხოლო საათების განაწილებაში მითითებულია - 115 საათი (1 კრედიტი =27 სთ).

- **პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის (მეხუთე საფეხური) პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით:**

- პროგრამის აღწერაში მითითებულია „დანართი #3 (საწარმოო პრაქტიკის დღიური)“, მაგრამ ეს დანართი პროგრამას არ ერთვოდა;

- სილაბუსებში არის უზუსტობები: „პოლიგრაფიული მასალები და ტექნოლოგიური პროცესები“: კრედიტების მოცულობა - 5, საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად - 367 საათი; „პოლიგრაფიული ორიგინალ-მაკეტები“: კრედიტების მოცულობა - 5, საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად - 100 საათი; „პოლიგრაფიული პროდუქციის კინძვა და რესტავრაცია“: კრედიტების მოცულობა - 5, საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად - 367 საათი; „სამაგიდო საგამომცემლო სისტემები“: კრედიტების მოცულობა - 5, საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად - 100 საათი; „უახლესი პოლიგრაფიული მანქანები და მოწყობილობები“: კრედიტების მოცულობა - 6, საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად - 115 საათი; „საწარმოო პრაქტიკა“: კრედიტების მოცულობა - 24, საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად - 300 საათი.

მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ ორ საგანზე სწავლება მიმდინარეობდა ერთიდაიმავე სახელმძღვანელოთი, თუმცა ის პასუხობდა დასახულ მიზანს. ექსპერტმა, ციური დურულმა განაცხადა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო იყო 80 გვერდიანი და შეუძლებელი იყო შედეგზე გასვლა და თემატურად მხოლოდ ერთ საგანს შეესაბამებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაცია და დაამატეს სასწავლო კურსების სილაბუსებში 3 ახალი სახელმძღვანელო.

საბჭოს სხდომას 17: 15 საათზე შემოურთდა საბჭოს წევრი, ირინე კვახაძე.

თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების განცხადებით ცენტრში წარმოდგენილი მასალა შესაძლოა ხარვეზიანი ყოფილიყო და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასაწყისში დაწესებულებამ წარუდგინა მათ საავტორიზაციო მასალები ამობეჭდილი სახით, რომლებზეც დაწესებულების ბეჭედიც იყო დასმული. ექსპერტის თქმით, სწორედ ეს ვარიანტი შემოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ამასთან, ვიზიტის ბოლო დღეს დაწესებულების ერთ-ერთმა ფაკულტეტმა სხვა მასალა წარმოადგინა შესამოწმებლად, რაც აღარ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფმა.

მაია ჩიხლაძის თქმით, შესამჩნევი იყო დაწესებულების მხრიდან არასერიოზული დამოკიდებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ, რადგანაც ძალიან ბევრი მექანიკური ხარვეზი იყო სახეზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ ამობეჭდილი ვარიანტის შემოწმება არ იყო გამართლებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფაკულტეტის ხარისხს აკრეფის დროს გაეპარა შეცდომა სილაბუსებში, კერძოდ საათების რაოდენობის ჩაწერისას, რაც დაწესებულების ცენტრალურმა ხარისხმა მაშინვე ჩაასწორა და მიაწოდა სწორი ვარიანტი.

მაია ჩიხლაძემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, შეცდომები მექანიკური ხასიათის იყო, თუ საგანმანათლებლო პროგრამაშიც ასე იყო მითითებული. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ზოგიერთ პროგრამაში ხარვეზით იყო ჩაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამაში სწორად იყო მითითებული, მოხდა მხოლოდ ციფრების არასწორად კოპირება უყურადღებობის გამო. მან ასევე აღნიშნა, რომ კრედიტის დატვირთვა მოიცავდა - 25 საათს.

თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსი შეესაბამებოდა პროფესიული პროგრამების სპეციფიკას, თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის შემთხვევაში კი სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტრა იყო მოსაწესრიგებლი. ექსპერტმა განაცხადა, რომ პროფესიული პროგრამები ხორციელდებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სტუ–ს აკადემიური პერსონალისა და საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე მომუშავე პირთა მიერ.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა დაწესებულების მიერ დადებული მემორანდუმების საკითხით, რის შესახებაც მისი თქმით, დაწესებულების საიტზე ვერ მოიპოვა ინფორმაცია.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას თითოეულ პროფესიულ პროგრამაზე გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები.

მაია ჩიხლაძემ მიმართა ექსპერტებს დამაზუსტებელი კითხვით, სტუდენტთა მობილობასთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სტუ-ს ჰქონდა რამდენიმე ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მხოლოდ ამ უნივერსიტეტში ხორციელდებოდა. სხვა პროგრამების შემთხვევაში დადებული იყო მემორანდუმები, ხოლო ამ პროგრამებთან მიმართებით დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა ზოგადი ხასიათის რეგულაციები.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ მიმდინარე წელს დაემატებინა, ფარმაცევტის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა, რომელიც მისი თქმით, აბსოლუტურად განსხვავდებოდა სტუ-ს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისგან. ის ასევე დაინტერესდა ბაზების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება 20 წელზე მეტია, რაც ფარმაციის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ახორციელებდა და ბაზებთან დაკავშირებით საეჭვო არაფერი უნდა ყოფილიყო. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სააფთიაქო ქსელებთან უვადო მემორანდუმები ჰქონდათ დადებული და განვითარების სურვილი ჰქონდათ.

მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ წინა წლებში არასწორად ირიცხებოდნენ სტუ-ს პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტები, კერძოდ, საბაზო განათლების მქონე პირებს შეეძლოთ მეორე საფეხურის პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვა და ის მიესალმებოდა აღნიშნული მანკიერი მხარის გამოსწორებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებისა და დაწესებულებების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ირინე კვახაძემ განაცხადა, რომ ის არ მიიღებდა კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგანაც გვიან შემოუერთდა აღნიშნული საკითხის განხილვის პროცესს.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 17:50 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ნივთიერებების და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის გარემოს დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ნავთობისა და გაზის გადამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ავტომობილების დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ავტომობილების ზეინკალის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ამწე–სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის სამშენებლო–საგზაო–სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის თაბაშირმუყაოს სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
2.	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	მესამე	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
3.	ნივთიერებების და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	მესამე	ნივთიერებების და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
4.	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი	მესამე	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მესამე საფეხურის	30

			(ექსპერტის თანაშემწე) პროფესიული კვალიფიკაცია	
5.	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი	მესამე	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
6.	გარემოს დაცვის ტექნიკოსი	მესამე	გარემოს დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის (თანაშემწე) პროფესიული კვალიფიკაცია	30
7.	ნავთობისა და გაზის გადამუშავების სპეციალისტი	მესამე	ნავთობისა და გაზის გადამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის (სპეციალისტ–მეაპარატეს) პროფესიული კვალიფიკაცია	30
8.	ავტომობილების დიაგნოსტიკოსი	მეორე	ავტომობილების დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
9.	ავტომობილების ზეინკალი	მესამე	ავტომობილების ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

10.	ამწე–სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი	მესამე	ამწე–სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
11.	სამშენებლო–საგზაო–სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსი	მესამე	სამშენებლო–საგზაო–სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
12.	პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი	მესამე	პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
13.	პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი	მეხუთე	პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
14.	დურგალი	მესამე	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
15.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის	60

			პროფესიული კვალიფიკაცია	
16.	ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი	მესამე	ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
17.	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი	მესამე	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
18.	თაბაშირმუყაოს სპეციალისტი	მესამე	თაბაშირმუყაოს სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

6. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრებმა, ნინო ჩინჩალაძემ და დავით აფრასიძემ განაცხადეს თვითაცილება, ნინო ჩინჩალაძე წარმოადგენდა სან-დიეგოს უნივერსიტეტის კონტრაქტორს, ხოლო დავით აფრასიძე წარმოადგენდა პარტნიორტი უნივერსიტეტის კანცლერს. შესაბამისად, ისინი ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებულ განაცხადს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საავტორიზაციო განაცხადი დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა წარადგინეს თავი საბჭოს წინაშე და აღნიშნეს, 2015-2016 სასწავლო წლიდან სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერიტეტის მიერ საქართველოს პარტნიორ უნივერსიტეტებში განხორციელდებოდა კომპიუტერული ინჟინერიის, ელექტრული ინჟინერიისა და ქიმია/ბიოქიმიის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამები. ხოლო 2016-2017 სასწავლო წლიდან კი იგეგმებოდა კომპიუტერული მეცნიერების, სამოქალაქო ინჟინერიისა და მშენებლობის საბაკალავრო პროგრამების განხორციელება. მათი განმარტებით, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს საგანმანათლებლო პროგრამები იდენტურია სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებისა. აღნიშნულ პროგრამებზე სწავლება მოხდება ინგლისურ ენაზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა მოიცავდა გაცვლით პროგრამებს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამასთან, დამამთავრებელი კურსის სტუდენტები საბაკალავრო ნაშრომს შეასრულებენ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდებოდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის განახლება მთლიანად. ინჟინერიის სკოლის განვითარება მოხდებოდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე. აღნიშნული გეგმის განხორციელების მიზნით მოხდა 30 ლექტორის გადამზადება დასახელებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლაშა მარგიშვილის განმარტებით, „ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების (კომპაქტის)“ საფუძველზე, 2014 წლის 15 ივლისს საქართველოს მთავრობასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის ფარგლებში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ვალდებული იყო, უზრუნველყო აშშ-ის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის აკრედიტაციის საბჭოს (“ABET”) ან სხვა სააკრედიტაციო სააგენტოს მიერ აკრედიტირებული მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის დარგებში ბაკალავრიატის აკადემიური პროგრამების დანერგვა საქართველოს პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, შემდეგ სპეციალობებში: ელექტრული ინჟინერია; ქიმია (ბიოქიმია); კომპიუტერული ინჟინერია; კომპიუტერული მეცნიერება; სამოქალაქო ინჟინერია და მშენებლობა. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ასევე ვალდებულია, აღნიშნული პროგრამების დასრულების შემდგომ, უზრუნველყოს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი დიპლომის გაცემა აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულებზე. მემორანდუმის თანახმად, საქართველოში პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ,,უმაღლესი

განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89[8] მუხლი მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ჩაითვალა აკრედიტებულად იმ ვადით, რომლითაც ითვლება აღიარებულად/აკრედიტებულად ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით.

„საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილებაში, 2015 წლის 23 ივლისს შესული ცვლილების თანახმად, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო დასაბუთებული განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელდება აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადის თანახმად, 2015-2016 სასწავლო წლიდან სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერიტეტის მიერ საქართველოს პარტნიორ უნივერსიტეტებში განხორციელდება კომპიუტერული ინჟინერიის, ელექტრული ინჟინერიისა და ქიმია/ბიოქიმიის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამები. ხოლო 2016-2017 სასწავლო წლიდან კი იგეგმება კომპიუტერული მეცნიერების, სამოქალაქო ინჟინერიისა და მშენებლობის საბაკალავრო პროგრამების განხორციელება. განაცხადთან ერთად წარმოდგენილი იყო კომპიუტერული ინჟინერიის, ელექტრული ინჟინერიისა და ქიმია/ბიოქიმიის საბაკალავრო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამების აღწერილობები, სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, სტუდენტთა მუშაობის სპეციფიკა, შეფასების წესები, ინფორმაცია სწავლების რესურსებით უზრუნველყოფისა და სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ირინა ხანთაძემ მიმართა კითხვით საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, წარმოედგინათ შუამდგომლობა, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მოითხოვეს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 000-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 4
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

„საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილების პირველი მუხლის, 1^1 და 1^3 პუნქტების შესაბამისად, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 18:25 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე